KA021729793982722

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-841 21 / თებერვალი / 2022 წ.

„ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 8350.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N8 შენობა-ნაგებობების, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 11678.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N15 შენობა-ნაგებობების და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 582.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2 (ნაგებობა) და N3 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ “ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 18 თებერვლის N1/1-827 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 8350.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N8 შენობა-ნაგებობების, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60ა-ში (ნაკვ. 13/043) / ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 11678.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1-N15 შენობა-ნაგებობების და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე N60-ში მდებარე 582.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1, N2

(ნაგებობა) და N3 შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 18 თებერვლის N1/1-827 ბრძანებაში (შემდეგში - ბრძანება“) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მყიდველი ვალდებულია, ამ ბრძანების მესამე პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისთვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის 5%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადას.“.

ბ) ბრძანების მეხუთე პუნქტით განსაზღვრული საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი:ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე